

ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი 18-2017-4

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, კონსორციუმ “ნოოსფერა“-ს (აშშ. კალიფორნია, ქ. პალო ალტო. ფილიალი – ქ. დნეპროპეტროვსკი, უკრაინა), ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს, სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტს, სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტს, სსიპ ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის სამეცნიერო ინსტიტუტს და სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტს შორის.

- ქ. თბილისი “30“ XI 2017 წ.
- ქ. დნეპროპეტროვსკი “7“ XII 2017 წ.
- ქ. ბათუმი “18“ XII 2017 წ.
- ქ. თბილისი “1“ XII 2017 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, წარმოდგენილი უნივერსიტეტის რექტორის არჩილ ფრანგიშვილის სახით; კონსორციუმი “ნოოსფერა”, წარმოდგენილი კონსორციუმის გენერალური დირექტორის მაქსიმ პოლიაკოვის სახით; ბათუმის შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, წარმოდგენილი უნივერსიტეტის რექტორის მერაბ ხალვაშის სახით; გ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტი, წარმოდგენილი ინსტიტუტის დირექტორის ნიკოლოზ ჩიხრაძის სახით; რ. დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი, წარმოდგენილი ინსტიტუტის დირექტორის თამაზ ნატრიაშვილის სახით; ფ. თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის სამეცნიერო ინსტიტუტი, წარმოდგენილი ინსტიტუტის დირექტორის გიორგი თავაძის სახით; სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი, წარმოდგენილი ინსტიტუტის დირექტორის გურამ ბოკუჩავას სახით – შემდგომში წოდებული “მხარეებად”, გამოხატავენ რა ურთიერთთანამშრომლობის სურვილს და ერთმანეთის მიმართ პატივისცემას, საკუთარი უფლებამოსილებებისა და შესაძლებლობის ფარგლებში, რაც განსაზღვრულია და არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, თანხმდებიან შემდეგზე:



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
21.12.2017 წ.
N 1159

1. ერთობლივად განახორციელონ შემოქმედებითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო, ტექნიკური, ტექნოლოგიური, სამეცნიერო თეორიული და ექსპერიმენტული, სამონტაჟო, საგამოცდო, სადემონსტრაციო და სარეკლამო სამუშაოები ახალი თაობის, დიდი გაბარიტების გასაშლელი კოსმოსური და დედამიწისეული ნაგებობების – უპირატესად კოსმოსური რეფლექტორული ანტენების და მექანიზებული სწრაფადასაგები ხიდების შესაქმნელად, სადემონსტრაციო მასშტაბური მოდელების დასამზადებლად, სადემონსტრაციო დამხმარე სტენდების ასაგებად და დემონსტრირებისათვის;
2. “მხარეები” ჩამოთვლილ სამუშაოებს შეასრულებენ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, საშუალებებით და ფინანსებით;
3. სადემონსტრაციო მასშტაბური მოდელები, “მხარეების” შეთანხმებით, განთავსდება რომელიმე მხარის ტერიტორიაზე ან, საჭიროების შემთხვევაში, მონაცვლეობით სხვადასხვა “მხარეების” ტერიტორიაზე;
4. “მხარეებს” გააჩნიათ უფლება უარი თქვან მისი კომპეტენციის ფარგლებში განსაზღვრული სამუშაოს ან სამუშაოთა ნაწილის შესრულებაზე;
5. “მხარეები” თანხმდებიან იმაზე, რომ აღნიშნული ურთიერთშეთანხმებით განსაზღვრული სამუშაოების კოორდინაციას განახორციელებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის გენერალური კონსტრუქტორი ელგუჯა მეძმარიაშვილი;
6. “მხარეებს” მიზანშეწონილად მიაჩნიათ კონსორციუმ “ნოსფერა“-ს გენერალური დირექტორის მაქსიმ პოლიაკოვის წინადადება – შესწავლილ იქნას საკითხი სამუშაოთა კომერციალიზაციისა და საერთაშორისო ბაზარზე დამკვიდრების მიზნით საქართველოში საერთაშორისო კომპანიის დაფუძნების შესახებ;
7. “მხარეები” თანხმდებიან, რომ საჭიროების შემთხვევაში, გაცვლიან ინფორმაციებსა და მასალებს, გაუგზავნიან ერთმანეთს წინადადებებსა და ინიციატივებს, ასევე ყველა საინტერესო სიახლეს. ამასთან, ამ პროცედურებში დაიცავენ კანონმდებლობით დაგენილ წესებს და მოთხოვნებს;
8. წინამდებარე მემორანდუმი უვადოა და მოქმედებს მასზე ყველა მხარის ხელმოწერის დამთავრებისთანავე;
9. მემორანდუმის შეწყვეტა შესაძლებელია “მხარეების” საერთო ინიციატივით. ამასთან, ცალკეულ მხარეს, ასევე აქვს უფლება თავის მხრივ შეწყვიტოს მემორანდუმი, ამისათვის მან უნდა შეატყობინოს სხვა მხარეებს 3 თვით ადრე. მემორანდუმის შეწყვეტამ არ უნდა იქონიოს გავლენა მხარეებს შორის იმ ურთიერთშეთანხმებაზე და საქმიანობაზე, რომელიც ხორციელდებოდა მემორანდუმის შემოღებამდე.

მემორანდუმი შედგენილია 14 თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად – 7 ქართულად და 7 ინგლისურად. მათი ორი ეგზემპლარი – ერთი ქართული და ერთი ინგლისური ინახება ყოველ კონკრეტულ მხარესთან.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულს ვადასტურებ ხელმოწერით:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
რექტორი



არჩილ ფრანგიშვილი

კონსორციუმ “ნოსფერა“-ს
გენერალური დირექტორი


მაქსიმ პოლიაკოვი

ბათუმის შ. რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორი





მერაბ ხალვაში

გ.წულუკიძის სამთო ინსტიტუტის
დირექტორი



ნიკოლოზ ჩხივრაძე

რ. დვალის მანქანათა მექანიკის
ინსტიტუტის დირექტორი



თამაზ ნატრიაშვილი

ფ. თავაძის მეტალურგიისა და
მასალათმცოდნეობის სამეცნიერო
ინსტიტუტის დირექტორი



გიორგი თავაძე

ი. ვეკუას სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის
ინსტიტუტის დირექტორი



გურამ ბოკუჩავა